№ 112
მაისის 31, პარასკევი, 1902 წ.
1877

# ივერია

№ 112
მაისის 31, პარასკევი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### „ივერიის“ ხელის-მომწერლებს

ვისაც ხუთის მანეთის მეტი არ შემოუტანია დღემდე, ვთხოვთ დააჩქაროს დანარჩენის წარმოდგენა. უამისოდ 10 ივნისიდან გაზეთის გზავნა მოესპობათ. (6—2)

**მაისის 16-დგან „ივერიის“ რედაქცია გადმოვიდა სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, გალერეია №№ 117 და 118, თ. გრ. ნ. დიასამიძის სტამბის გვერდით.** (10—10)

## პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს ექვს მანეთად და ათ შაურად (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

### ღვთის-მოყვარულთა ქრისტეანთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზე და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ.

ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვზედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

**ჩემი ადრესი:**

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагореви, причетнику Алексѣю Арганашвили. (5—უ.—5)

## გაზეთი „ივერია“

**რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,**

გადადის საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

### ქართველ ქალთა ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა № 12.

### ექიმი ალექსანდრე გიორგის ძე მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სდოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**კ. ი. გძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

**გ. ა. თარხანოვი.** 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

### ტფილისის კერძო სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**მ. ი. იანჩევსკი:** ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

**ტფილისი, 30 მაისს.**

წელს ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამ ყურიც არ ათხოვა იმისთანა საყურადღებო ამბავს, როგორიც არის ყოვლად უქვეშევრდომილესი მოხსენება ფინანსთა მინისტრის წარსულ წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის შესახებ.

საგულისხმიერო-კია ეს მოხსენება და მით უფრო გასაკვირველია, რომ ჩვენ ასე გვერდი ავუარეთ იმისთანა ამბავს, ხოლო ამავე დროს უმნიშვნელო შინაურ წვრილმანებს ვძიობდით და მათთვის თავს ვიმტვრევდით. ნეტავ, ასე მრავლად მაინც არ მოიძებნებოდეს ჩვენს გარშემო ცხოვრებაში მრავალი ფრიად საჭირო საქმე, მრავალი ღრმად დამაფიქრებელი ამბავი და გარემოება. ასეთია, სხვათა შორის, ზემოხსენებული მოხსენება ფინანსთა მინისტრისაცა.

ეს მოხსენება რომ საყურადღებოა, და სა-

## ფელეტონი

### ბულჯაგრიანი

(ძველებური ამბავი)

#### I

ღრუბლის შეკუმშული ნაწყვეტები მძიმეთ დასცურავდნენ ცაზე და აჩრდილებდნენ აქა-იქ მთების კლდიან წვერვალთ და მის ზურმუხტად აშწვანებულ კალთებს... ხანდახან, რომელიმე ნაწყვეტი ჩამოეშვებოდა და ჩაიხუტავდა გულში ყინულით დაგვირგვინებულს ცივ წვერვალს. ლაღად, თავისუფლად დანავარდობდა გამაგრილებელი ცელქი სიო, ეთამაშებოდა, ეარშიყებოდა და თავს ევლებოდა ათას-ფეროვან ყვავილებს, რომელნიც თვალ-წარმტაცად ამკობდნენ და ამშვენიერებდნენ მწვანე მთის კალთებს და მის გორ-გურებს...

წვერვალებიდგან თეთრ ზოლებად ჩამოწოლილ ზვავების ქვეშიდგან გამოჰსჩქეფდნენ ანკარა, მჩქეფარე წყლები და ღრეს საფეხურებზედ ხტომით მიისწრაფებოდნენ ძირს ხევის უფსკრულისაკენ, სადაც გაშმაგებულის ღრიალით, როგორც მომწყვდეული დაჭრილი ნადირი, ებრძოდა უმთავრესი მდინარე სალის კლდის კიდეებს, თითქოს უნდა გაერღვია, წაელეკა და მით მოეპოვა მშვიდი თავისუფალი დენა... მაგრამ კიდეები ამაყად, თითქო დაცინვით, დაჰყურებდნენ ზემოდან მის ამაო, სასოწარკვეთილ ბრძოლას...

შავად აყუდებულ, გულ-ჩათხრობილ კლდეების ქედუროებზე ლაღად ეყარა ჯიხვები; გადაეყარათ ზურგზე რქები და ცოხნით მიეშვირათ კოხტა ყელი გრილ სიოსაკენ. თუმცა მაშინ, მის სისხლის მსმელის კაცისათვის მიუვალი თავშესაფარი ჰქონდათ კლდის შვილებს, მაგრამ მაინც სრულებით ვერ გრძნობდნენ თავიანთ თავს მშვიდათ, შიშობდნენ და ყოველ უბრალო ხმაურობაზე პატარა ქვის დაგორებაზედაც-კი ფრთხილად აცქვეტდნენ ყურებს და სმენად გარდაიქცეოდნენ. მათი, ჯერ გამოუცდელი, სიცოცხლით აღსავსე ნუკრები არ ისვენებდნენ: დახტოდნენ აქა-იქა, ქვებიდგან ქვებზე, ქედუროდგან ქედუროდზე, ხან ეცემოდნენ გაქანებულები ერთმანეთს და შეაჯახუნებდნენ პატარა რქებს და ხან შესდგებოდნენ უკანა ჩლიქებზე და შეკოტრიალდებოდნენ...

ამ დროს მათ თავს, ცის სივრცეში, დასტრიალებდნენ სვავ-ყორნები და იქიდგან დაჰმზერდნენ გაუმაძღარ, ხარბის თვალით. იმ ბუნების შვილს მწყემსსაც გაეშალა მთის კალთაზე თავისი ცხვარი და სევდიანად აღუღუნებდა და ატირებდა განუშორებელ სალამურს...

გულ-წარმტაცი იყო ყველაფერი ეს, თითქო ეუბნებოდა კაცს: მიაწოდე ძმას ხელი, გადაეხვიე და მეგობრულად, სიყვარულით იცხოვრეთ ამ ჩემ უხვ მკერდზეო, მაგრამ გაუმაძღარი კაცის გული არ კმაყოფილდებოდა, ის მაინც თხოულობდა ძმის სისხლს!..

დიდოების ერთ სოფელში, სალაყბო მოედანზე ვაჟკაცობას მოეყარა თავი. შუაში იდგა მათი ბელადი მტაცებლობაში გაწრთვნილი და გამოჯეკილი; კარგა ჰქონდა შესწავლილი მთის და ბარის სათარეშო გზა-ბილიკები. წელზე ხმალ-შემორტყმული კოხტად, მედიდურად მიდგ-მოდგებოდა დი მჭეხარე, აღფრთოვანებულის ხმით აქეზებდა თანამოძმეებს სათარეშოდ.

— კარგა ხანია ქარქაშიდგან არ ამოსულა ჩვენი ხმალი, გაიძახოდა ბელადი,—დედაკაცებსავით შინ ვსხედვართ და კერას მივჩერებივართ. განა, ეს არის ჩვენი მოვალეობა? ჩვენ, არწივებსავით სადავლოდ უნდა დავნავარდობდეთ მთა-ბარში. ნუ დავლაჩრდით. ავისხათ იარაღი და გავიდეთ ველად. ხომ თვით ალლაჰს დაულოცნია ჩვენთვის ხმალი, რომ ვღვაროთ გიაურების სისხლი?

— მართალია, მართალი,—გაისმა რამდენიმე ხმა,—ამოდენა ხნის უსაქმობამ დაგვაძაბუნა, დროა ცოტა ძარღვებში გავიშალნეთ.

— აბა საით წავიდეთ, სად უფრო გვგულება დავლა?—ჰკითხეს ბელადს.

— სადაც იქნება, — იქნება, — იმედოვნად უპასუხა ბელადმა,—ვინ იცის, ყველაფერი შემთხვევაზე ჰკიდია. შეიძლება ახლო-მახლო თუშეთის საზღვრებზე შეგვხვდეს ცხვარი და თუ მაინცა და მაინც იქ არა იქნა-რა, კახეთში ჩავიდეთ. იქიდგან ხომ, იმედია, ჩვეულებისამებრ ხელ-ცარიელნი არ დავბრუნდებით...

— რაც უფრო მოკლე ბილიკით მივაღწევთ მიზანს, ისა სჯობია,—შენიშნა ერთმა ქალარა-შერეულმა დიდომ,—პირდაპირ კახეთში რომ ჩავიდეთ უფრო მოვიგებთ. ხომ იცით, რომ თვითონ თუშებიც დაწანწალებენ მთებში და, როგორც მშიერი მგელი ცხვარს, ისე დაგვეძებენ...

— მერე რა არის, რომ დაგვეძებენ,—თითქო უკმაყოფილოდ გააწყვეტინა ბელადმა,—გვეძებენ და ჩვენც, ნუ გეშინიან, დაუხვდებით ჩვეულებისამებრ; რა საშიშრები ისინი არიან, პირველი შეხვედრა ხომ არ იქნება?

— მე არ ვამბობ, რომ საშიშრები არიან,—უთხრა ქალარა-შერეულმა,—შენ თვითონ კარგად იცი, რომ არა ერთხელ და ორჯელ მქონია შენთან ერთად მათთან საქმე, მაგრამ უსისხლოდ ვერ გადავრჩენილვართ. რად უნდა დავკარგოთ უბრალოდ კაცები?..

— თუ მაინცა და მაინც ისე გეშინიან თუშებისა, ძალას ვინ გატანს, შეგიძლიან შინ დარჩე,—გესლიანის დაცინვით წარმოსთქვა ბელადმა და მედიდურად გადაავლო თვალი კრებას.

— ვის ეშინიან?!—წამოიძახა აღშფოთებულმა ქალარა-შერეულმა დიდომ,—და მიიტანა ხელი ხანჯლის ვადას,—შენ არ იყავი, რომ ყიზილამ*) კუდით ქვა გასროლინა? ამოგიწყვიტა მეკობრები და შენ თვითონ ხმალ-დაკარგული გამოიქეცი თავ-ლაფ-დასხმული და შერცხვენილი?!

საკმარისი იყო ეს. იძრეს ორთავემ ხანჯალი და სასიკვდილოთ მიიწიეს ერთმანეთზე. წუთიც, და ერთ-ერთის სიცოცხლის ძაფი უნდა გამწყდარიყო, მაგრამ დიდოებმა არ დააცალეს, ჩადგნენ შუაში და დააშორეს.

ხალხი დაიშალა. მეომრებიც წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებში, რომ მომზადებულიყვნენ სათარეშოდ.

#### II

ამ დროს თავის სახლის წინ იჯდა მხრებზე დურა-ტყავ მოსხმული, ფრიად მოხუცებული დიდო, რომელიც, როგორც ეტყობოდა, გამოსულიყო გარეთ, რომ მზის ყუდროში გაეთბო ძვლები.

ეს იყო სოფელში ყველასაგან დიდად პატივცემული ომარი. ათმა წელიწადმა უკვე განვლო, რაც მან მოხუცობის გამო თავი დაანება ლაშქრობას, ბრძოლის ცეცხლს და მის ქარ-ბუქს, ჩააგო ქარქაშში ხმალი და დაუძლურებული, სიკვდილის მომლოდინე, მიუჯდა კერას... წინათ-კი ბელადობდა და ცნობილი იყო, როგორც მოხერხებული და აზროვანი წინამძღოლი. როგორც მისი თანამოძმე, მის ბელადობის დამსწრე დიდოები ამბობდნენ, მას ყოველთვის გამარჯვება ებედებოდა. ბედიანია, ალლაჰის მადლი დასტრიალებს მას თავზეო, იტყოდნენ ხოლმე დიდოები.

მართლაც, ძალიან ძვირად დაბრუნდებოდა ხოლმე ომარი მტაცებლობიდგან ხელ-ცარიელი, მარცხიც შედარებით ნაკლებად მოსდიოდა. თარეშობაში აზროვანი და მოხერხებული, ბრძოლაში გულადი და შეუპოვარი, შინ მშვიდ ცხოვრებაში ომარი იყო ცნობილი, როგორც პურადი და სტუმრის მოყვარე. მისი სახლი ყოველთვის და ყველასათვის, ვინც უნდა ყოფილიყო, ღია იყო. მტაცებლობით ნაშოვნ დავლაში ყოველთვის წილს უდებდა თავის სოფლის ღარიბ-ღატაკს, ქვრივს და ობოლს. დიდოეთში არსად არ ინახებოდნენ ტყვეები ისე, როგორც ომარის სოფელში. არამც თუ ტანჯვა-წვალება, არამედ ყოველთვის გულ-კეთილად ექცეოდა ხოლმე თვითონ ომარი და სხვებსაც სასტიკად უშლიდა და ჰკიცხავდა.

ეხლა დაუძლურდა, დაჰკარგა სამუდამოდ მუხლი, არწივისებური თვალ-მხედველობა და მხარ-მკლავის ძლოვნება, თუმცა გული ისევ ისე უძგერდა, არ ეპუებოდა სიბერის კლანჭებს... და, რადგანაც დიდოები ლუკმა-პურს, ავლა-დიდებას ხმლით და ხანჯლით შოუ-

*) ყიზილა—განთქმული თუშების ბელადი იყო.

გულისხმიერო, ამას ისიც ჰმოწმობს, რომ საუკეთესო რუსული ჟურნალ-გაზეთები დღესაცკი მსჯელობენ ამ საგნის შესახებ და უხსნიან თავიანთ მკითხველებს ამ მოხსენების აზრსა და მნიშვნელობას.

ვინც ჩაუკვირდება ამ მოხსენებას, ცხადად დაინახავს იმ მიზეზს, რომელიც უდევს საფუძვლად დღევანდელ ცხოვრების ვითარებას რუსეთში.

წრევანდელი ანგარიში არის მეათე ანგარიში ფინანსთა მინისტრისა და ამიტომ შიგ ჩართულია რამდენიმე ერთიანი რიცხვი მთელის ათის წლისა. მინისტრი ამბობს, რომ ამ ათის წლის განმავლობაში სახელმწიფო მეურნეობა ერთობ წინ წავიდა, ისე რომ შემოსავალი ავიდა ერთ მილიარდამდისაო, ე. ი. ათას მილიონამდე. ამ ერთის მილიარდით გაკეთდა ის, რომ სახელმწიფო მეურნეობამ ერთი-ორად მეტს მანძილზედ გაიყვანა რკინის გზის ლიანდაგები; დღეს მთელს რუსეთის იმპერიაში არის გაყვანილი 60,000 ვერსი რკინის გზის ლიანდაგი, ხოლო ამ ათის წლის წინად-კი იყო 30,000 ვერსი.

პირველ შეხედვით ცხადია, რომ ამ ათის წლის განმავლობაში სახელმწიფო საფინანსო კასსა ერთობ კარგ მდგომარეობაში ყოფილა და კიდევაც ამის გამო სახელმწიფო მეურნეობას დიდი წინმსვლელობა დასჩნევია. მაგრამ ამის მიზეზს თვით მინისტრი ჰხსნის თავის მოხსენებაში და, აი, თურმე როგორ არის საქმე:

თუმცა ამ ათის წლის განმავლობაში ერთის მილიარდით უმატნია სახელმწიფო მეურნეობას, მაგრამ ამავე დროს უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში მთელ რუსეთის სახალხო მეურნეობას საზოგადოდ დაჰკლებია ცხოვრების ღონისძიება ერთ მილიარდზე მეტი. თუ იმასაც მხედველობაში მივიღებთ, რომ ის ერთი მილიარდიც, რომელმაც ამ ათის წლის განმავლობაში ერთობ წინ წასწია სახელმწიფო მეურნეობა და რომელიც მიღებული აქვს სახელმწიფო მეურნეობის კასას მთელის იმპერიის მცხოვრებთაგან, მაშინ ცხადია, რომ ამ ათის წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის მცხოვრებლებს დაჰკლებიათ ერთი-კი არა, მთელი ორი მილიარდი მანეთი.

ზემოხსენებულ სახელმწიფო მეურნეობის მდგომარეობა არის შედეგი იმ კაპიტალისტურ წყობილებისა, რომელმაც ხალხის ცხოვრებაში უკვე დაიწყო მეფობა და რომელიც ასე ძვირად უჯდება ხალხის ჯიბეს. მაშასადამე, ადვილად აიხსნება ის აუარებელი შემოსავალი, რომელიც აღნიშნულია ჩვენს სახელმწიფო შემოსავალ-გასავალში.

მინისტრის წრევანდელი მოხსენება ნათელსა ჰფენს ბევრს სხვა-და-სხვა მოვლენას რუსეთის იმპერიის დღევანდელ ცხოვრებისას. რა არის ეს ნათელი და რა მოვლენას ჰხსნის მინისტრის მოხსენება, ამას დაწვრილებით აქ არ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ვინც დაკვირვებით თვალ-ყურს ადევნებდა ამ ცხოვრებას, ის თვითონაც მიხვედრილი იქნება საქმის ყოველ-გვარ გარემოებას. ხოლო ვისაც თვალ-ყური არ უდევნებია, ამ ცხოვრებისათვის ურჩევთ აიღოს ხელში ეს წრევანდელი მოხსენება მინისტრისა, კარგად დაკვირვებით გადაავლოს თვალი იმ ციფირებს, რომლითაც მინისტრი ნამდვილად ჰხატავს დღევანდელ მდგომარეობას მთელის რუსეთის იმპერიისას. წინადვე-კი უნდა გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ იქ ერთობ ბევრი ციფირებია, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრს მკითხველს არ უყვარს, მაგრამ, რადგან „ციფირები ჰმართვენ ქვეყანას", საჭიროა მოთმინება და მათი კარგად შეგნება. ამ მოთმინებითა და შეგნებით შეიძლება მივხვდეთ, სხვათა შორის, მასაც, რუსეთის სახელმწიფო მეურნეობის წარმატება საკეთილოდ დაეტყო თუ არა ჩვენის ქვეყნის ეკონომიურს მდგომარეობას.

# ტფილისი

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაამთავრა 10 ქართველმა, ერთმა ოსმა, 9 რუსმა და სამმა ბერძენმა. აი, გვარები ქართველებისა: ხუციშვილი დავითი, გარსიაშვილი პავლე, მუხაძე გრიგოლი, ხატისკაცი ალექსი, გურგენიძე ალექსანდრე, ღვინიაშვილი არჩილი, ქოქიაშვილი ვლადიმერი, ლიაძე ვასილი, შამანაური მიხეილი და წიკლაური ბესარიონი. ამათგან ხუციშვილს სემინარიის მთავრობა სახელმწიფო ხარჯით აკადემიაში ჰგზავნის.

✦ ნ. გ. ქართველიშვილსა და ნ. კ. ბოკილიონს განუზრახავთ ტფილისში მთავარ ბაზრის გამართვა, სადაც გაიყიდება ყოველდღიურად საჭირო სურსათი. ბაზარს ქალაქის ყველა ნაწილში თავისი განყოფილებანი ექმნება. განყოფილებებს ყოველ დღე მთავარ ბაზრიდგან გაეგზავნებათ საჭირო სურსათი და საქონელი. ყველაფერი ახალი იქმნება. სადგომები ბაზრისთვის სუფთად და ჰიგიენის მოთხოვნილებათა თანახმად იქმნება მოწყობილი. თვითოეულ დარგისთვის ცალკე სადგომი გაიმართება, რომელთა სისუფთავესაც განსაკუთრებულმა ადმინისტრაციამ უნდა ადევნოს თვალ-ყური. ბაზარს მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნება როგორც ქალაქის მცხოვრებთა, ისე იმ სოფლელთათვის, რომელთაც თითქმის ყოველ დღე სურსათი ჩამოაქვთ ქალაქში და გროშის ფასად ჰყიდიან. ქართველიშვილსა და ბოკილიონს უკვე მიუმართავთ ფინანსთა მინისტრისათვის და უთხოვნიათ მიეცეთ იმათ განსაკუთრებული უფლება ბაზრის გამართვისა ხუთის წლის ვადით. ამ შუამდგომლობის გამო გუბერნატორს პოლიცმეისტრისათვის თავისი მოსაზრებანი მოუთხოვნია. მკითხველებს შემდეგ დაწვრილებით გავაცნობთ ამ მეტად საინტერესო პროექტს.

✦ ქალაქის გამგეობამ საბოლოოდ შეიმუშავა ამა მიმდინარე წლის შემოსავლისა და ხარჯის აღრიცხვა. შემოსავალი ქალაქს 1,401,033 მანეთი ექნება, ხარჯი, 1,400,966 მანეთი.

✦ რკინის გზაზედ ხელ-ახლა შემოიღეს ვაგონ-დუქნები სურსათის საზიდად ლიანდაგზედ მოსამსახურეთათვის.

✦ ოლქის სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მეთვალყურე დეკ. ვოსტორგოვი გორისა და ახალციხის მაზრაში წავიდა სკოლების სარევიზიოდ.

✦ ტფილისის კადეტთა კორპუსში ეგზამენები დამთავრდა. სულ სწავლა 41 კაცმა გაათავა. აქედგან 8 ქართველია. აი მათი გვარები: თავ. გ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონი, თავ. მ. გურამიშვილი, თავ. დ. ვაჩნაძე, ნ. აბულაძე, თავ. ნ. ვაჩნაძე, თავ. ა. გედევანიშვილი, თავ. გ. სუმბათაშვილი და ი. მამაცაშვილი. ერთის გარდა, ყველანი უმაღლეს სასწავლებლებში მიდიან.

✦ ქალაქის გამგეობამ საბჭოს ექიმად ყოფილის ტერ-ასატუროვის ქვრივს პენსიად 400 მანეთი დაუნიშნა. ეს გადაწყვეტილება საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

# საქართველოს
## ამბები

მთავრობამ ნება დართო სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის საპედაგოგო კურსების გამართვისა ქუთაისში. კურსები გაიმართება ივნისსა და ივლისს.

—

სურამიდგან გვატყობინებენ: სურამის რაიონში 14 აპრილს, ყინვამ ხეხილები და ვაზები გააფუჭა, მოსავალი-კი არ დაუზიანებია. სწორედ მაშინ, როდესაც ხეხილი გამობრუნებას აპირებდა, (21 მაისს) წვრილი სეტყვა მოვიდა, რომელმაც ზარალი მოუტანა მცხოვრებლებს. მაგრამ მახლობელნი მარტო ამით არ გადარჩნენ. 26 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, მოვიდა ხშირი სეტყვა, რომელმაც მინდვრები თეთრად დაჰფარა. ნათესები მეტად გაფუჭებულია.

—

ხაშმიდგან გვატყობინებენ, რომ წელს იქით კარგ მოსავალს მოელიან, როგორც პურისა, ისე ღვინისას. აღდგომის სიცივეებს თუმცა წაუხდენია, მაგრამ ძალიან მცირე ნაწილი, ისიც ახალი ვაზი. ამ სასიამოვნო ამბავს ხაშმელები დღესასწაულობენ თურმე ამ დღეებში სალმთოს გარდახდით.

—

როგორც მოშავრის ხეობიდგან (ბორჩ. მაზ.) გვატყობინებენ, წელს იქით კარგის მოსავლის იმედი აქვთ. რამდენისამე წლის მოუსავლობით დაზარალებული ხალხი სიხარულით შეჰყურებს ყანებს. ვენახებსაც საზოგადოდ კარგი პირი უჩანს, თუმცა სიცივეებმა ზოგან დააზარალა.

—

როგორც გვატყობინებენ, ბორჩალოს მაზრის სოფელ რატევანის საზოგადოებას დაუდგენია დააარსოს სკოლა.

—

ეკატერინენფელდის (ბორჩ. მაზრა) მცხოვრებნი აპირებენ მორტირების გამოწერას სეტყვასთან საბრძოლველად.

—

ბორჩალოს მაზრის სოფ. ვორონცოვკაში 19 მაისს სეტყვა მოსულა, მაგრამ ზარალი მცხოვრებთათვის დიდი არაფერი მიუყენებია.

—

ამას წინად, როგორც გვატყობინებენ, თათრები დასცემიან ხაშმელებს, რომელნიც ქალაქიდგან სოფელში მიდიოდნენ. ქალაქში სოფლელნი ჯარის ბეგარაზედ იყვნენ. თათრებს საქონელი წაუსხამთ. ჩხუბიც მოსვლიათ, რომლის დროსაც ერთი ხაშმელი დაუჭრიათ. ურმებზედ მომეტებულად ბავშვები ყოფილან, თორემ შეიძლება თათრებს ვერა გაეწყოთ-რა.

—

**ს. ხაშმი** (ტფილისის მაზრა). ხაშმელების ცხოვრების უმთავრეს წყაროთ ითვლება ღვინის მოსავალი. ხაშმი თუ იხსენება სადმე—ვენახებით, რადგან გარეთ-კახეთში ეს სოფელი დიდად განთქმულია თავისი ღვინის რაოდენობით და ღირსებით. მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდლამდის ზვენის ვენახების საქმე სრულებით უყურადღებოდ არის დატოვებული. უმთავრესი და უპირველესი აქ ვენახების მორწყვის უწეს-რიგობაა. ეს უწესრიგობა ბევრს ცდებს აყენებს ხოლმე, რადგან ადრე ერგება ხოლმე წყლის ჯერი და ვენახს კოდოზედა რწყავს; ზოგს-კი მიწისთან ასწორებს, რადგან, ვინ იცის, როდის ერგება ჯერი და მაშინ გვიანდა ვენახის გამობრუნება.

ხაშმელი კაცი უმინდრობის გამო მხოლოდ მევენახეობას მისდევს და ამ საქმეშიაც სავენახწყრო წყალზედ არის დამოკიდებული. ნეტა, გიჩვენათ ხაშმის არე-მარე—მახლობელი ტიტველა გორაკები, რა სცოდავ სურათს წარმოადგენს გვალვის დროს,—ან კიდევ მორწყვას დაჩვეული ვენახები! ნათესობა გაუვითლებულია ხოლმე, ფოთოლი მოშუშულია და ღეროები დახეთქილია ისე, რომ ვაზის ფესვები სჩანს. ყოველ ამის ასაცილებლად, ხაშმელებს გამოყვანილი აქვთ ორი არხი, ერთი ზემო სოფელში დაფიანხევიდან, მეორე წისქვილის ღელიდან, პირდაპირ ივრიდან. წისქვილის არხის ქვეშ დაყოფილი ვენახები გვალვის დროსაც საკმაოდ სარწყავია, რადგან წყალი უხვად არის და მეორეს არც-კი ჰკითხავენ., ისე რწყავენ ვენახებს. მაგრამ უბედურება და უწესრიგობა ზემო-არხის გამო ხდება ხოლმე, რადგან ამ მეძარებით მცირე-წყლიანმა რუმ უნდა მორწყოს თითქმის 150 დესეტინა ვენახი. უწეს-რიგობას სარწყავ წყალის ხმარებაში მოსდევს დიდი ჩხუბი, ხშირად თავ-პირის მტვრევა და ერთმანეთის რუში ჩაგდებაა. ერთის ოთხის (⅛ დესეტინისა) მპატრონი თითქმის ორი სამი კვირა სდებს მეათოვეში მორწყვის გამო.

ამ საუბედურო გარემოებას ვერაფერი ეშველა აქამდის.

ახლა მამასახლისს წრეულ უკვე გაუთავდა და გამოცვლას უპირებენ. „თავათ არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო", ამის საქმეც სწორედ ეგრეა. ისე აიცრუა გული სოფელზე, რომ აღარას აკეთებს. თუმცა არიან ამორჩეული კაცები რუების გასასწორებლად, მაგრამ ამათ [illegible] მამასახლისს აწყენინონ და უმისოდ — [illegible] დაიწყონ, მამასახლისი-კი, არ ვიცი რა მიზეზით, ყურს არ უგდებს ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმეს. დღევანდლამდის წყალი არ გამოჰყვევანია და, ვინ იცის, როდემდის მოგვიხდება ცდა.

ხაშმელი კრაზანა.

—

**ს. ტოლა** (რაჭის მაზრა). წრევანდელმა ავდარმა თავის თოვლ-ჭყაპით, ქარ-სუსხით, კოხით და ყინვა-სიცივით ხომ ბევრგან დააზარალა ვენახები, ხეხილი და ჯეჯილები. მთარულმა და გაცივებისაგან წარმომდგარმა ავადმყოფობამ მაც თავისი დავლა წაიღო. ფილტვების ანთება, ხველა, მწვავი, ინფლუენცია, წითელა და სხვა, უხვად მოგვფინა აპრილის ცუდმა ამინდებმა. ამ არა-სასურველმა სტუმრებმა ზოგი უკვე გასტუმრეს საიქიოს და ზოგიც უკვე მიწვენილია სამარის პირად.

ძლიან შეაშინა ჩვენი უსწავლელი ხალხი მთვარის დაბნელებამ. ყოველთვის, როდესაც სამყაროზე პლანეტთა შორის რამე ცვლილება იჩენს თავს, უსწავლელი ხალხი სასოწარკვეთილებას ეძლევა, რადგანაც ამ მოვლენას მეორედ მოსვლის და ქვეყნის დაქცევის წინამორბედად სთვლის. 9 აპრილს, საღამოს, მთვარე მოიცვა სიბნელემ და ვიდრე კვლავ ამოანათებდა თავის ბადრს სახეს, ჩვეულებრივ შუქს მოჰფენდა დედამიწას, შიშისაგან თავ-ბრუ-დასხმული ხალხი, გულ-ხელ დაკრებილი შეჰყურებდა ცას. ბევრს ათქმევინა ამ მოვლენამ გულ-წრფელი აღსარება, ბევრს დაწერინა ქრისტიანულად პირ-ჯვარი... „დედამიწამ ვეღარ დაიტია ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვები, ხალხი დაეცა ზნეობით, აღარ არის ძმობა, ერთობა; აღარ გვწამს ერთ-სისხლობა, ნათესაობა; უარ-ვყოფთ სიმართლეს, ნამუსს. სახალხოდ უარ-ვყოფთ და ვსტეხთ ფიცს; აღარ გვეშინის ღვთისა; ერთმანეთს ვატყუებთ და ვკლავთ. ძლიერი სუსტს ფეხით სრესავს; მდიდარი ღარიბს პირიდგან ლუკმას ართმევს. მღვდელი აღარ მღვდლობს და მრევლი აღარ მრევლობს; კერძო პირადმა შექმნის სურვილმა ჩაჰკლა უველივე ის, რაც შეადგენს ადამიანის უდიდეს ღირსებას, რაც ადამიანს ხდის ღვთის ხატებად და რადგან ასე გარყვნილია, რომ ესოდენი შეცოდება ღმერთს აღარ მოითმინოსო", დადადებდა და დადადებს დღესაც შიშისაგან სასოებაში მოსული ხალხი...

23 აპრილს, დილის 8 საათზე, რაღაც არა ჩვეულებრივი თოვლი დაიწყო. როდესაც მიწაზე დაეფინა და გავსინჯეთ, იგი არ იყო თოვლი, არამედ რაღაც თეთრი ბეწვეული, რომელიც ბამბას ძალიან ჰგავდა. ბამბასავით იგრიხებოდა და როდესაც დავწვით ცეცხლზე, ნამდვილი ბამბის სუნი ავარდა. ამ მოვლენამაც ძალიან შეაშინა ხალხი. რასაკვირველია, ეს ბეწვეულობა დედა-მიწისაგან არის ატანილი ქარისაგან ჰაერში, უსწავლელ ხალხს-კი ჰგონია, რომ მთვარიდგან მოდის ბამბის თოვლი და ძრწოლით მოელის მეორედ მოსვლას.

დიდს გაჭირვებაში ვართ ტოლელები, სხვათა შორის, უგზოობის გამო. დიდი ხანია ვდრტვინავთ და ვჩივით ამ საგანზე, მაგრამ ყურის მგდებ[illegible]

---

ლობდნენ, ომარს-კი სიბერის გამო არა შეეძლო-რა, არც ჰყვანდა ჯერ-ჯერობით მოადგილე, ამისათვის ძლიერ ღარიბად სცხოვრებდა. დიდოებმა კარგა იცოდნენ ეს, ახსოვდათ და აფასებდნენ მის წარსულ მათ წინაშე ღვაწლს, სიკეთეს და ამისათვის ნადავლში ყოველთვის ერთ წილს მას აკუთვნიდნენ.

ნუგეშად, სიცოცხლის ბოლო დღეების გასახარებლად მას ჰყვანდა ერთად-ერთი ვაჟი — ჰაჯი, რომელიც დიდს იმედებს აძლევდა მოხუცს მამას. ჩვიდმეტის წლისა იყო ეს ჭაბუკი და მთელ სოფელში ბადალი არა ჰყვანდა ტოლ-ამხანაგებში. მამაც ამაყობდა შვილით და ტკბილ ოცნებებში წარმოიდგენდა ხოლმე შვილს, როდესაც იგი გმირი, მტრის თავ-ზარ დამცემი ბელადი იქნებოდა. თუმცა ჯერ საიმისო არა საქმეში არ მიეღო მონაწილეობა, არ ყოფილიყო თარეშობაში, მაგრამ ნათქვამია: ხარს სახბორეშივე შეეტყობაო... მამის ხირიმით დადიოდა ჰაჯი და მთელ დღე-ღამეებს ატარებდა მთებში ნადირობაში და ისე არ დაბრუნდებოდა შინ, რომ რამე ნადირი არ მოეკლა. ფეხდაფეხ მისდევდა თოფის ქექით ფსიტებს და ჯიხვებს საშიშ კლდეებზე. როდესაც გავარდებოდა სადმე კლდეებში მჭახარე თოფი, დიდოები იტყოდნენ, —ეს ჰაჯის თოფის ხმააო...

არ გამოეცადა თავი ჯერ თარეშობაში, მტერთან ბრძოლაში და მის ქარ-ცეცხლში და აჰა, მიეცა კიდეც შემთხვევა. სალაყბო მოედანზე ბელადის აღფრთოვანებულ სიტყვებით გულ-აძგერებული ჰაჯი წარუდგა თავის მამას წინ.

— მამავ, —მიუბრუნდა მისვლისათანავე ჰაჯი, —სათარეშოდ მიდიან ჩვენები და გამიშვი, მეც წავალ.

შვილის სიტყვებზე მთლად ჟრჟოლამ აიტაცა მოხუცი ბელადი და თვითონაც არ იცოდა რად. სიცოცხლის ცეცხლ-მილეული მისი თვალები აენთნენ და მიაჩერდნენ შვილს, რომელიც პასუხის მოლოდინე იდგა თავ-ჩაღუნული. კარგა ხანს უყურა მამამ, თითქო ბრძოლა ხდებოდა იმ დროს მის გულში „ჰო" და „არა"-ზე. ნება მიეცა, მერე როგორ გაემეტნა ერთად-ერთი შვილი, ჯერ სულ-გამოუცდელი, ბრძოლის ველზედ გამოუჯეკელი ყმაწვილი. რომ მოეკლათ, ვინ-და გაუწევდა მას, მოხუცს, პატრონობას, ვინ დაუხუჭავდა თვალებს, ვინ დამარხავდა?.. არ მიეცა—შიშს მიაწერდნენ და ამ შეურაცხყოფას ხომ ვერ აიტანდა მისი გმირი გული. ვერ გაიმეტაო, იტყოდნენ და ეს არ შეეფერებოდა იმ ნაირ პატივცემულ და სახელ-განთქმულ ნაბელადარს, როგორიც იყო ომარი...

— შენ რისთვის წახვალ? ჰკითხა ომარმა.

— რისთვისაც სხვები მიდიან, მეც იმისთვის წავალ, —მიუგო მშვიდათ ჰაჯიმ.

— სხვები საომრად მიდიან და შენ-კი გამოუცდელმა რა უნდა გააკეთო? —ღიმილით შენიშნა მამამ.

— მაშ როდის-და უნდა გამოვიცადო თავი? —უკმაყოფილოდ წარმოსთქვა შვილმა, — ისე პატარაც აღარა ვარ, რომ სხვებთან ერთად ხმლის მოქნევა და ხანჯლის დატრიალება ვერ შევძლო. ჩემი ტოლები კიდეც ყოფილან, მიუღიათ მონაწილეობა თარეშობაში და მე-კი აქამდის ქალსავით შინა ვზივარ და უბრალო ნადირის დევნაში ვართობ თავს. ამისათვისაც დამცინიან ამხანაგები: მშიშარა ხარ და იმიტომ ზიხარ კრუხივით შინაო!..

— გეხვეწები, გამიშვი, მამავ, —განაგრძო აღფრთოვანებით ჰაჯიმ, —მე დავუმტკიცებ მაგათ, რომ ომარის ღირსეული შვილი ვარ. ვნახოთ, მე ვარ კრუხი, თუ ეგენი არიან.

ამ სიტყვებზე ჰაჯის სახე აენთო და თვალებში ელვამ გაურბა...

რად ულირდა მოხუცებულ გმირ-მამას შვილის ეს სიტყვები! მეტის სიამოვნებისაგან მთლად დაიბნა, თითქო თვალთ დაუბნელდაო; კინაღამ თავ-დავიწყებამდის არ მივიდა და არ ჩაიკრა გულში შვილი. —ეს ხომ არ შეეფერებოდა ვაჟკაც დიდოს... რომ დაემალა შვილისაგან აღელვება, თავი ძირს ჩაღუნა და რამდენსამე ხანს ისე იჯდა, სანამ დამშვიდდებოდა. ბოლოს აიწია თავი და გაიხედ-გამოიხედა. ჰაჯიმ შენიშნა, რომ მამას თვალები დაუნამდა. მის სახეს სიხარულის ელფერი გადაეკრა, აღფრთოვანდა და თხოვნის შეწყნარების იმედი მიეცა.

— მაშ გადასწყვიტე წასვლა? ყრუთ ჰკითხა შვილს ომარმა რამდენისამე ხნის სიჩუმის შემდეგ.

— გადავწყვიტე, თუ შენც ყაბული გექნება, —უპასუხა შვილმა.

— ჰაჯი, დაიწყო მოხუცმა ბელადმა და მიმოავლო თვალი არე-მარე ხევ-ხუვებს და სხვა-და-სხვა მხარეს გადაჭიმულ დაღესტნის მთა-ქედებს, რომლის მწვერვალებიც თითქო ცას მიბჯენოდნენ. —ბევრი რამ გამომივლია და გამომიცდია ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში... თვრამეტი წლისა ვიყავი, როდესაც პირველად შემოვირტყი ხმალი და ველად გავედი; ოც-და-ათი წელიწადი ბელადად ვიყავი და მთელ ამ დროს განმავლობაში ხმალი არ ჩამიგია ქარქაშში. დაღესტნიდგან დაწყებული თუშეთში, მთელ კახეთში არ მოიპოვება ისეთი ალაგი, გზა-ბილიკები, თითქმის პატარა გორაკებიც-კი, რომ მე არ მცოდნოდეს და მენახოს... დამყვანდა ბიჭები სათარეშოდ, დღისით ვიმალებოდით საიმისო მტრისათვის უცნობ დაფარულ ალაგებში და იქიდგან ვზვერავდით, რომ ღამის წყვდიადში ღვთის რისხვად თავს-დავტყდომოდით. რა არ გადამხედია, რა არ მინახავს?.. ბევრჯერ ამიწიოკებია გურჯისტანში ღამე მოულოდნელად თავს-დასხმით მძინარე სოფელი, ბევრჯერ წამიკიდებია ცეცხლი, ბევრჯერ მიყრევინებია მძინარეების თავები... ბევრი გამომიგლეჯია გულ-მიხდილ დედის გულიდგან შვილი, ბევრი ახალგაზდა ქალ-რძალი წამომიყვანია ტყვედ ფეხშიშველა გულ მოკვლელ წივილით... ბევრი მიხოცავს და ტყვედ წამომიყვანია თუშების მწყემსები და გადმომირეკია მათი ცხვარ-ცხენი დაღესტანში...

## III

— ყური დამიგდე, —მცირე ფიქრის შემდეგ განაგრძო დიდომ: —ჩემის ბელადობის პირველ ხანებში იყო, არ დამავიწყდება არას ოდეს, სანამ ცოდვილი სული მიდგა პირში; გურჯების ერთი პატარა, მარტოდ-მარტო, განშორებით მდებარე სოფელი მივეცით ცეცხლს. საცოდაობა დატრიალდა. ვინც გადარჩებოდა ცეცხლს, ხმლის მსხვერპლი ხდებოდა. სოფლის განაპირა ერთ მიწურს სახლში შევედი. ჩემ შესვლისათანავე იკივლა მოხუცებულმა დედაკაცმა, მივარდა პატარა ბიჭს და გულში ჩაიკრა.

სისხლით დამთვრალი, გაშმაგებული, ხმალამოღებული მივვარდი და გამოვგლიჯე ხელიდგან. მომვარდა სასოწარკვეთილი მანდილოსანი, დავარდა და მომეხვია მუხლებზე. მწარედ ქვითინებდა საცოდავი... ხან მუხლებში მკოცნიდა, ხან აღაპყრობდა ხელებს მაღლა, თითქო ალლაჰს იწვევდა საშველად და ხან შემაცქერდებოდა. თქრიალით ჩამოსდიოდა ცრემლები მილეულ თვალებიდგან და გუბდებოდა დაღვრემილ ლოყების ღარებში. „ერთად-ერთი მანუგეშებელი მყავს, ნუ წამართმევ", —მემუდარებოდა... ხან ქვითინით დავარდებოდა პირქვე ჩემ ფეხებზე... არ მიშვებდა. ისე მაგრად შემიბოჭა ფეხები, რომ არამც თუ განთავისუფლება, არამედ ერთი ნაბიჯის გადადგმაც ვერ შევძელი...

გაწყდა უმისოდაც სუსტი გაჭიმული მოთმინების ძაფი... სისხლით ამღვრეულ გულს მეტი ვეღარ შეეძლო... სისხლით დამთვრალი გული უფრო მეტს სისხლს თხოულობს... იმ დროს, როცა პირქვე დავარდა, იელვა ხმალმა და ორად გაჩეხილი გურჯის მოხუცი დედაკაცი დარჩა უსულოდ იმავე ალაგას...

აქ ოხვრა ამოჰვარდა მოხუც ბელადს და კარგა ხანს თავ-ჩაღუნული დუმილს მიეცა.

— ბიჭი ტყვედ წამოვიყვანე, —განაგრძო მოხუცმა, —მაგრამ მას შემდეგ მოსვენება აღარ მქონდა. ჩემი გული თითქო კლანჭებში ეჭირა და ჰღარავდა. გურჯის დედაკაცი სულ მდევნიდა, მელანდებოდა და როგორც ცოცხალი წინ მედგა. დავხუჭავდი თვალებს თუ არა, წარმომიდგებოდა დაჩოქილი, ხელებ აღპყრობილი და შვილზე მემუდარებოდა. ვიტანჯებოდი, მე ჩემი მემართებოდა და არ ვიცოდი რა მექნა.

გულის გასაქარვებლად შევკრიფე სათარეშოდ ბიჭები და გავუძეხი წინ თუშეთის მთებისაკენ. თანა მყვანდა ჩემი უმცროსი ძმა. ბევრი ვიარეთ, ბევრი ვიზვერეთ, მაგრამ საიმისოდ არა შეგვხვდა-რა. ერთ ალაგას დავბანაკდით. მზე კიდეც იწურებოდა. სიფრთხილისათვის ყარაული დავაყენე და წამოვწექი დასასვენებლად. წამძინებოდა. მომეჩვენა ისევ ის გურჯის დედაკაცი. მემუდარებოდა შვილზე, მევლებოდა მუხლებზე და მკოცნიდა. განქრა დედაკაცი. შემდეგ უცბად ახლო მთიდგან ჩამოეშალა ყროყინით ყორნების შავი გუნდი და დაგვერია. ერთი ყორანი წააჯდა ჩემ ძმას და სანამ მე მივეშველებოდი, თვალები დასთხარა... სხვა ბიჭებსაც ბევრს დასთხარეს. ერთი მე წამომეკიდა და რამდენსამე ალაგას წამკრა ბასრი ნისკარტი...

„ომარ, ომარ!.." მომესმა ძახილი და გასავით წამოვვარდი. თურმე ჩემი ბიჭები

...ეს და მშვენიერი არსაიდგან გვიჩნდება. ტყეც მდებარეობს იმ ადგილზე, საიდაც თავდება ჩრდილო-დასავლეთის მხრივ საზღვარი რაჭის მაზრისა და იწყება დუშეთისა; ამიტომაც, რომ ეგრე დაშორებული ვართ ბედ-შავი ტოლებები სამაზრო ცენტრს, იქ დაბინავებულის მაზრის მთავრობის თვალ-ყურის გდება და მზრუნველობა ვეღარ აღწევს ჩვენამდის... ზამთარში ხომ დიდს განსაცდელშია ხალხი იმის გამო, რომ გამოსასვლელი გზა არ მოიპოვება. გამოვა თავის სახლიდგან თუ არა, ხარი და კაცი უეცრად იძირება ღრმა ტალახში, მაგრამ არც ზაფხულში გვაქვს ტოლებებს გასასვლელი გზა.

რაც გზები მეწყრისაგან დარღვევას გადურჩა, ისინი ზოგმა, მიწით გაუმაძღარმა, პირებმა თავიანთ ვენა-ვენახებს მიჰკერძეს, მიუმატეს და ზოგში შიგ ჩაუსახლნენ, და ამ ნაირად მოსპეს მთელს სოფელში დიდის ხნიდგან დადებული გზები.

ქაიხოსრო გელოვანი.

—

**ახმეტა.** ბუნების სიმდიდრით და მდებარეობით ახმეტას ბევრი სოფელი ვერ შეედრება: აქაური ღვინო და პური განთქმულია მთელს კახეთში. მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხის სიღარიბით ახმეტას, გგონებ, პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მთელს მაზრაში. ამის მიზეზები, გარდა მამულების სიმცირისა, არის ლოთობა და მალარია.

სათქმელია, კაცს ხანგრძლივი ლხინიც-კი მოსწყინდებაო; ახმეტელებს-კი, არა მგონია, ოდესმე მოსწყენოდეთ გაუთავებელი ლოთობა-ქეიფი. კვირა-უქმე დღეებში დუქნები სავსეა მთვრალი ხალხით. ყოველ მხრიდგან გაისმის სიმღერა და ლანძღვა-გინება.

მედუქნეებს, მთელი სამი თვე აკრძალული ჰქონდათ ღვინო-არყით ვაჭრობა. საზოგადოებამ თუმცა ორჯელ-სამჯერ დაადგინა ერიდობაზედ მოწყობა მიეცათ მედუქნეებისთვის, მაგრამ მაზრის უფროსი არ უდასტურებდა—ეგების ხალხმა როგორმე შეიგნოს, დუქნები გააუქმოს და ლოთობას გადაეჩვიოსო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ამით ხალხმა ლოთობა არ დაიშალა. მედილეხე, ბატონო, დუქნების მიყრდნილ ოთახებში და ჩუმად, უსიმღეროდ,—რა არის, პოლიციამ არ შეგვიტყუოსო,—იგინებოდნენ განთქმულის „ახმეტურაით“, სასმლის იქიდგან ბარაქათით არ ჰქონდათ. ბევრჯელ მესწრობია ამისთანა სურათს ყოველ დღე მამასახლისი, მაგრამ ამას მედუქნეებისთვის ხმაც არ გაუცია. ახ-კი როგორ გასცემს, როდესაც მედუქნეები „მობრძანდ-დაბრძანდით“ ეგებებოდნენ და დაბახებას სულ ხელად და დოზ ხვიდამა მოსდევდა. ნათქვამია, ხათრი ხათაბალაო და ჩვენი მამასახლისიც, როგორც ხათრიანი კაცი, მედუქნეს ხათრს ვერ უტეხს, ვერ აწყენინებს.

მედუქნეებიც,—სიმართლე უნდა სთქვას კაცმა,—კარგად უმასპინძლდებოდნენ ხალხს,—რა არის მოწმობაზე უარი არა სთქვათო. ეხლა-კი, როდესაც მოწმობა ხელთ იგდეს, ვინ დაუშლის ყველაფერი ერთი სამადა ჰყიდონ. პოლიციას რა ხელი აქვს, ვინ როგორ უიღუღობს, ან რამდენად ჰყიდის? და არავის ფიქრადაც არ მოსდის, რომ ხალხს კუდამდის ტყავი სძვრება, ნისიებში მედუქნეებს მამულები რჩებათ და სახელმწიფო გადასახადში სახლის ავეჯი და საქონელი ეყიდებათ.

მეორე მიზეზი სიღარიბისა არის „მალარია“.

დადგება თუ არა ზაფხული თავის სიცხე-პაპანაქებით, ავადმყოფთა რიცხვიც შესამჩნევად იმატებს. ისეთს ოჯახს ვერ შეჰხვდებით, რომ შიგ ავადმყოფი არ იყვეს. მუშა-კაცის ავადმყოფობა-კი ისეთ დროს, როგორც ზაფხულია, რა თქმა უნდა, ძლიერ დააქცევთ ოჯახს. თუმცა აქ არის ეგრედწოდებული სასოფლო ქსენონი, მაგრამ სიშორის გამო ხალხი ნაკლებად ეტანება ამ ჯანმრთელობისათვის სასარგებლო დაწესებულებას. ქსენონიდგან სოფლის ქვემო ნაწილამდე, რომელიც ყველა ნაწილებზედ ცებ-ცხელებიანია, იქნება 5 ვერსი. ეს მანძილი-კი მეტად დიდია ავადმყოფებისთვის, მით უმეტეს რომ ფეხით ან ურმით უხდებათ სიარული. ურმით სიარული-კი ზოგიერთა მძიმე ავადმყოფთათვის არც სასიამოვნოა და არც სასარგებლო. სხვა არა იყოს-რა, მეტად საძნელოა ავადმყოფისათვის ზემო სართულში ასვლა, სადაც მოთავსებულია ქსენონი. თითქმის 4—5-ჯერ უნდა ისვენოს ავადმყოფმა ექვს საფეხურიან კიბეზედ, სანამ დანიშნულ ადგილს მიაწვდეს. სასურველია ქსენონი გადაიტანონ შუა სოფელში, სადაც ხალხს გაუადვილდება სიარული.

ს.

## რუსეთი

მაისის 8-ს შესრულდა ოცი წელიწადი მას შემდეგ, რაც დაარსდა პალესტინის საზოგადოება. ამ საზოგადოების დამფუძნებელთაგან დღეს მხოლოდ 16 კაცი-ღაა ცოცხალი. ვერც ერთი მათგანი ვერ მოიფიქრებდა მაშინ, თუ ასე საოცრად გაიზრდებოდა ეს საზოგადოება. საზოგადოებას არასოდეს არ ჰქონია აზრად რაიმე ანგარება ანუ საპოლიტიკო ფიქრი. საზოგადოებას აქვს 43 განყოფილება და ჰყავს 5116 წევრი. 1901 წელს საზოგადოების კასას ჰქონდა შემოსავალი 419,000 მანეთი. დაიხარჯა იმავე წელს 407,000 მ. საერთო წლიური ტრიალი ფულისა ავიდა 4 მილიონამდე (3,891,969 მ.). აი ბალანსი მისი 1 მარტისათვის: ქონება 1.763,994 მანეთისა, ნაღდი—153,441 მან., მართლ-მადიდებლობის განმტკიცებისათვის (სასწავლებლები და ქსენონ-საკურნალონი) დაიხარჯა 157,000 მ., მლოცავთათვის შემწეობად—139,000 მ., წიგნების ბეჭდვა, ბიბლიოთეკა და სამეცნიერო გამოკვლევანი 22,000 მ. საზოგადოებას აქვს პალესტინასა და სირიაში 87 ქალ-ვაჟთა სკოლა, რომლებშიაც დადის 10,627 ბავშვი. სკოლებს გარდა 5 ამბულატორია აქვს და მათთვის ჰხარჯავს 13,500 მ. ერთის წლის განმავლობაში სამკურნალო შემწეობა მიიღო იქ 110,000 ადამიანმა. 1901 წლის განმავლობაში საზოგადოების თავ-შესაფართა და სასტუმროებში ჰქონია ბინა სხვა-და-სხვა დროს 9,824 მლოცავს.

ამ საზოგადოებამ გაგზავნა პალესტინაში პირველს წელსვე თვისის დაარსებისას ჩვენი თანამედროვე პროფესორი ა. ცაგარელი [illegible] ნაყოფი იყო, როგორც ვიცით, დიდი წიგნი Памятники грузинской старины въ Св. земле и на Синае. [illegible]

## უცხოეთი

### კლერიკალიზმის როლი საფრანგეთში

პარიზი.

[illegible]

...და აქვს ამა თუ იმ საპოლიტიკო ცხოვრებასთან მორიგებისა, მოკალათებისა.

უკანასკნელი გამარჯვება რეაქციისა, და იმასთან ერთად კლერიკალიზმისა, იყო სახელმწიფოს გარდაქმნა 1852 წელს და მეორე იმპერიის დაარსება. მეორე იმპერია და კლერიკალიზმი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი: მტერი ერთი ჰყავდა ორივეს—რესპუბლიკანურ-დემოკრატიული მიმართულება. ურთიერთის დახმარებას საჭიროებდა როგორც იმპერია, ისე კლერიკალიზმი: იმპერია რომ დამხობილიყო, კლერიკალიზმს ხელ-ახლა უნდა დაეპყრა არა ერთხელ დაკარგული პოზიციები; იმპერიას კიდევ კლერიკალიზმი თავისს ძლიერ მოკავშირედ მიაჩნდა. ოფიციალურ დახმარებისა და იმპერიის მთავრობის წყალობით საფრანგეთის კლერიკალიზმი დღითი-დღე ძლიერდებოდა და მნიშვნელობას პოულობდა. მეორე იმპერიის დროს კლერიკალიზმი არა სცდილობდა საპოლიტიკო ცხოვრების მართვა-გამგეობის ხელთ ჩაგდებას. იგი სცდილობდა საფრანგეთის ხალხის გონებისა და სულის დაპყრობას, ხოლო შემდეგ, როდესაც ამას გაათავებდა, მთელ ხალხის ხელში დაჭერას და თავის მიერ გატკეპნილ გზაზედ ტარებას. საფრანგეთის სულიერ [illegible]

[illegible] ...ღნებ ახალი კაცები, სხვა ოცნებით, სხვა აზრ-შეხედულებით აღჭურვილნი. საყოველთაო სახელმწიფო განათლებამ ძირი გამოუთხარა კლერიკალურ სკოლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას; პრესსის თავისუფლებამ ხელი შეუწყო ახალ აზრთა ხალხში გავრცელებას. მხოლოდ ერთად-ერთი იარაღი—ჯარი—შერჩა ხელში კლერიკალიზმს და ამ იარაღმა უფრო მეტი მნიშვნელობა მოიპოვა მესამე რესპუბლიკის დროს. მესამე რესპუბლიკის პირველი საზრუნავი ჯარის აღდგენა იყო, მაგრამ, აღიდგინა-რა ჯარი, მესამე რესპუბლიკამ არ გადაჰქმნა იგი: დარჩა ჯარში წინანდელი სული და გული, წინანდელი გავლენა კლერიკალიზმისა. ხოლო რადგანაც ახალის დამარცხების შიშმა ჯარის ამაღლებასა და ავტორიტეტს ხელი შეუწყო მესამე რესპუბლიკის დროს, ამიტომ გადიდდა ჯარის მეოხებით კლერიკალიზმის გავლენაც. ასე თუ ისე რესპუბლიკამ ძირი გამოუთხარა კლერიკალიზმს. ამიტომ ადვილი მისახვედრია ბრძოლა და მტრობა კლერიკალიზმისა მესამე რესპუბლიკასთან ამ რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებში. მაგრამ მე-70 წლების მიწურულშივე რესპუბლიკის წეს-წყობილების გამარჯვება აშკარა გახდა და ბრძოლის განგრძობა იმასთან უნაყოფო შეიქმნა. კლერიკალიზმი უნდა შეჰრიგებოდა ახალ წყობილებას; მაგრამ ეს შერიგება სრულიად არა ჰნიშნავდა იმას, რომ კლერიკალიზმმა თავის მიზანს თავი მიანება, ხელი აიღო გავლენაზედ. პირ-იქით: კლერიკალიზმი შეურიგდა რესპუბლიკანურ წყობილებას, ხელი აიღო რესპუბლიკის დასამხობ ბრძოლაზედ მხოლოდ იმიტომ, რომ შერიგება აუცილებელი იყო, რადგანაც წინდაწინვე იცოდნენ, რომ ბრძოლა წაგებული იქმნებოდა. რესპუბლიკასთან ბრძოლა-კი არა, იმის დაპყრობა—აი, რა გაიხადა საგნად კლერიკალიზმმა მესამე რესპუბლიკის დროს. ამ დაპყრობას იგი სისტემატიურად სცდილობდა, ჩუმად, ფეხ-აკრეფით. ყოველივე საშუალება იხმარეს კლერიკალებმა თავიანთ საქმისათვის: ხელი მიჰყვეს საკომერციო საქმეს და იმათი გავლენა ეკონომიურ ცხოვრებაში თან და თან იზრდებოდა, იგი თან და თან მკვიდრდებოდა სკოლასა, პრესსასა და ოჯახში; იმათი ქსელი ხელ-ახლად ევლებოდა საფრანგეთს.

მაგრამ მოულოდნელად საფრანგეთის ცხოვრებაში თავი ამოჰყო კრიზისმა—დრეიფუსის საქმემ. სულ ცოტა ხანში ფარდა, რომელიც საფრანგეთის ცხოვრებასა ჰქონდა აფარებული, ჩამოიგლიჯა და გამოაშკარავდა ბევრი, დღე-დღე მიმალული, საქმე. მოულოდნელად გამოირკვა ძალა და გავლენა კლერიკალიზმისა, ის ძალა და გავლენა, რომელიც რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ წყობილების სამტროდ იყო მიმართული. ნიღაბი აიხადა და საჯარო, აშკარა ბრძოლა ორ მიმართულების—კლერიკალიზმისა და დემოკრატიზმის—შორის აუცილებელი შეიქმნა.

ამ ბრძოლაში რესპუბლიკანურმა საფრანგეთმა გაიმარჯვა, მაგრამ ამ გამარჯვების დასამთავრებლად, იმის ნაყოფების უზრუნველსაყოფელად საჭირო იყო რეაქციის ხელიდგან უმთავრეს იარაღის გამოგლეჯა—ჯარისა და სკოლისა. აი, ამიტომ პირველი და უმთავრესი რეფორმანი ვალდეკ-რუსოს სამინისტროსი იყო კანონი ასოციაციების შესახებ და რეფორმა სკოლისა და ჯარისა. ამაებზედ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ვ. ხუდადოვი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და აქაურს სამკითხველოს შემოსწირეს თავიანთი წვლილი. აი, სია შემომწირველთა: გიორგი გველესიანი, ვასო გძელიშვილი, ნესტორ ბელიაშვილი, სოლომონ ბაგრატიონ-დავითიშვილი, ბესარიონ მესხი, ასატურ არუთინოვი, ნ. სიხარულიძე, ვასო გვარამაძე, მანუჩარ კვესელავა, ალექსანდრე კიკოშვილი, ეპიფანე კეთილაძე, ლუკა გურგენიძე, მაქსიმე ლობანიძე, მათე ჯოხაძე, ბესარიონ გოგიავა და პაპიძე. ამათგან შემდგარმა ჯგუფმა ინება და ამ შორეულს ქვეყანაში, რომელიც ასე დაცილებულია ჩვენს სამშობლო ქვეყანას, განიზრახა საერთო ხარჯით ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთისა და სხვა-და-სხვა ჩვენის შესანიშნავ მწერლების თხზულებათა გამოწერა და პატარა უფასო სამკითხველოს დაარსება, რათა დავიწყებული არ იყოს ჩვენი საყვა-

---

...ღვიძებდნენ. სულ ღმუოდი და კანკალებდიო, მითხრეს. მე ვუამბე სიზმარი. არ გამეთავებინა ჯერ სიზმარი და ყარაულმა დაიძახა: „თუშიო!“

— დაჰკარით ხმალი მაგ ღორებს“!—დაიძახა ახლო მაღლობიდგან,—ეტყობოდა ბელადი იყო,—უზარმაზარი ტახის თუშმა. როგორც მთიდგან მოსხლეტილი ზვავი, როგორც ადიდებული წყალი თავს დაგვატყდნენ გამძაგებული თუშები.—ნურასოდეს ნურვის ნუ შეასწროს ალლაჰმა იმ დღეს, რა დღეც მაშინ ჩვენ დაგვიდგა!.. გონ-დაკარგული ჩემი ბიჭები აირივ-დაირივნენ, როგორც ნადირისაგან დამფრთხალი ცხვარი. ბევრს ვეცადე გონს მომეყვანა, მაგრამ ერთხელ შეშინებული კაცი, ნათქვამია, ცხვარზე უარესიაო. მრისხანედ ელავდა თუშის ხმალი თავზარდაცემულ დიდოებზე და შეუბრალებლად სპობდა სიცოცხლეს. ჩემი ძმა განგმირეს ჩემს თვალ წინ.

ბრძოლამ ბევრს ხანს არ გასტანა. გავიფანტ-გამოვიფანტენით და, ვისაც როგორ შეეძლო, თავს ვუშველეთ... ერთი მე წამომეწია. ორ ალაგას დაჭრილი, ველარ გავრბოდი, მუხლი მეკვეცებოდა და რომ ამემორებინა თუშის ხმალი, გადავვარდი ერთ ნაფხვენზე. შემდეგ რა იყო და რა არა,—აღარა მახსოვს-რა, როცა გონს მოვედი დილა ყოფილიყო. ბიჭებისა არა ვიცოდი-რა: რამდენი გადარჩა სიკვდილს და რამდენი არა, მხოლოდ შემდეგ, სოფელში რომ მოვედი, შევიტყე, რომ ოც-და-ათი კაციდან ათი-ღა გადავრჩენილიყავით...

მაშინ-ღა მივხვდი რისთვის მდევნიდა გურჯის დედაკაცი: ის უბედურება, ზარალი, საშინელი მარცხი იმ ჩემის ცოდვის ნაყოფი იყო. ალლაჰმა დამსჯა. მაშინვე გავანთავისუფლე გურჯის ბიჭი და აღვუთქვი ალლაჰს, რომ დედაკაცს, ქვრივ-ობოლს, ყველას, ვისაც არ შეეძლო თავის დაცვა, არ წავართმევდი სიცოცხლეს, არ დავღვრიდი უბრალოდ სისხლს. მოვრჩი ჭრილობისაგან. აღარ მეჩვენებოდა გურჯის დედაკაცი. მტკიცედ ვასრულებდი ჩემს აღთქმას არამც თუ მე, არამედ სხვებსაც სასტიკად ვუკრძალავდი იმ ნაირ საზიზღარ საქმეებს... მას შემდეგ ალლაჰმა პირი მოიბრუნა ჩემკენ, ჩემთან იყო და ყოველ საქმეში ხელს მიმართავდა...

და აი ეხლა შენ, ჩემო ჰაჯი, გადიხარ ცხოვრების ასპარეზზე, უნდა აიღო ხმალი და მით გაიკვლიო გზა. ჯერ შორი გზა გაქვს. ვინ იცის, რა მოგელის და რა არა... მხოლოდ გთხოვ, როგორც მამა და გამოცდილი თარეშობაში და ყოველ მაგვარ საქმეებში გაწვრთნილი და გამოჯეკილი ბელადი, რომელსაც ერთი ფეხი უკვე სამარეში უდგია და სიცოცხლის ძაფი ეს არის დღეს თუ ხვალ, გაუწყდება,—გთხოვს ეს ჩემი ჭაღარა, რომელიც აი, იმ მთის წვერვალის თოვლზე უთეთრესია—შენც დაიცვა წმიდად, მტკიცედ ჩემი აღთქმა!..

— ვფიცავ ალლაჰს, რომ მტკიცედ დავიცავ შენს აღთქმას, შეჰფიცა შვილმა.

— იყავ ვაჟ-კაცი, მტერს მტრულად დაუხვდი, მოყვარეს-კი მოყვრულად,—დასძინა ომარმა,—ნუ დაანთხევ უბრალოდ უმანკო სისხლს, გებრალებოდეს დაჩაგრული, ნამეტნავად ტყვე. ჩააგე ამართული ხმალი ისევ ქარქაშში დედაკაცის და ყველა სხვა უძლურის წინაშე. პირიქით შენ თვითონ იყავ მფარველი მათი, გადაუდექი წინ მათ დასაცველად, თუნდა შენი მოძმეც იყოს. თავი გადაზდე, თუ გარემოება ამას მოითხოვს, მაშინ ალლაჰი შენკენ იქნება, ის წაგიძღვება წინ, ის იქნება შენი ყოველ საქმეში დამცველი და მფარველი!..

— აბა, ბიჭებო, შეიკრიფენით, ბელადიც გამოვიდა დამზადებული, დაიძახა სოფელში ერთმა მეკობრეთაგანმა დიდომ.

ომარი შევიდა სახლში, გამოიტანა თავისი ხირიმი, ხმალი, დამბაჩა, აასხა შვილს და ხმის კანკალით უთხრა:

— აჰა, ჰაჯი, ჩემი იარაღი. ეს არის ერთადერთი ჩემი ქონება, რომელიც შემიძლიან დაგიტოვო... ვაჟკაცისათვის სხვა არა არის-რა საჭირო... ყველაფერი ამითი შეგიძლიან შეიძინო... მხოლოდ ნუ ამოვა ქარქაშიდგან ეს ხმალი, თუ ამოვა, გადატყდეს ვადაში, თუ დაჩაგრულ, სუსტ, უმფარველო არსებაზე ამოვა... აბა წავიდეთ, ბიჭები შეიკრიფნენ და ბელადიც მოვიდა,—დაასრულა ბელადმა მოხუცმა დიდომ და ორივენი, მამა და შვილი, მივიდნენ სათარეშოდ შეკრეფილ მეკობრებთან.

— აჰა, მოგიყვანე ჩემი შვილიც, წაიყვანე და ამის შემდეგ შენთვის მომიბარებია,—უთხრა ომარმა ბელადს და წარუდგინა ჰაჯი.

— შენი შვილი ჩემი და ყველა ჩვენების ძმა და შვილია,—უთხრა ბელადმა,—შერცხვეს ჩემი კაცობა, თუ ჩემ ღვიძლ შვილზე ნაკლებად ვუყურო!.. დარდად ნუ ჩაიყოლებ, ომარო,— დასძინა ბელადმა, ჯერ-ჯერობით ბრძოლის ცეცხლში არ შევუშვებ, სანამ ცოტად მაინც არ შეეჩვევა, შემდეგ-კი, იმედია, თავის მამის უნარს გამოიჩენს...

დანარჩენ მეომრების,—რომელთა შორის ჰაჯის ორი ტოლ-ამხანაგიც ერია,—სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ჰაჯისაც ამაყად, ღირსეულად ეჭირა თავი და იმის თვალებში სიხარულის მეტს არას წაიკითხავდა კაცი.

— აბა, მშვიდობით,—გამოეთხოვა შვილს მამა,—მიდიხარ და დაგხვდებიან კიდეც გულჯაგრიანი თუშები.

სთქვა ეს ომარმა და ნელის ნაბიჯით, ყავარჯნით ხელში გაემართა თავის სახლისაკენ.

მამის ბოლოს სიტყვებს ვერ მიჰხვდა შვილი. ვერ აეხსნა, თუ რასა ნიშნავდა „გულჯაგრიანი“ თუშები და ან რისთვის იყო ნათქვამი...

IV

ოცი შეიარაღებული გუდა-საგძლიანი დიდო გავიდა სოფლიდგან და გაემართა თუშეთისაკენ. მშიერ მგლებსავით დანავარდობდნენ აქა-იქ მთებში, რომ მოემწყვდიათ სადმე საქონელი. დადიოდნენ უგზო-უკვლოდ, დიდის სიფრთხილით; თან ათვალიერებდნენ რამე ნავალს და თუ შეხვდებოდათ, გზას უქცევდნენ, ცდილობდნენ თავიანთი ნავალიც დაემალათ, რომ თუშებს არ შეემჩნიათ. მთის რომელიმე გადასახედში მოსძებნიდნენ მტრისათვის დაფარულ ალაგს და იქიდან დიდ-ხანს ათვალიერებდნენ მიდამო მთებს. ორი დღე იწანწალეს ამ ნაირად დიდოებმა და ვერა ნახეს-რა. მცირე თათბირის შემდეგ ერთხმივ გადასწყვიტეს კახეთში ჩასვლა. შუა დღე გადასული იქნებოდა. ერთ ტაფობში დაისვენეს დიდოებმა, ამოიღეს გუდებიდგან დუმა, დაზილეს ქუმელი და შეუდგნენ ჭამას. არ გაიარა ბევრმა ხანმა.

— ის ვინა დგა სერზეო, ჰკითხა ჰაჯიმ ბელადსა და გაიშვირა თითი.

— ყიზილა!.. წამოიძახა ბელადმა და, რა დაავლო თოფს ხელი, წამოვარდა ზეზე.

თუშების ბელადის ყიზილას სახელის გაგონებაზე თავ-ზარი დაეცათ დიდოებს. კარგა იცნობდნენ ამ თუშების მგელს. ბევრჯერ ენახათ მისი მრისხანე ხმალი. ვერ დასცალდათ გონება-დაკარგულ დიდოებს დასახვედრად მომზადებულიყვნენ.

— აბა, ბიჭებო, დაუძახა ყიზილმა მჭეხარე ხმით თუშებს, დაჰკარით მაგ ურჯულოებს!..

გაშმაგებული თუშები ჩაერივნენ ყიჟინით აშიშვლებულ ხმლებით თავ-ზარ დაცემულ ლეკებს. გაიმართა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. თოფის კომლში აქა-იქ გაიელვებდა მზის სხივებზე გასისხლიანებული ხმალი. ყიზილა გორის სერიდგან თადარიგს აძლევდა თავის მეომრებს, აფრთხილებდა და არიგებდა, თუ ვინ როგორ მოქცეულიყო. ბოლოს თვითონაც იშიშვლა ხმალი და ჩავარდა ბრძოლის ცეცხლში.

შედრკნენ დიდოები და მალე ზურგი უჩვენეს მტერს. გაშმაგებული თუშები მისდევდნენ კვალ და კვალ და უსპობდნენ სიცოცხლეს. აჰა, ერთი თუში გამოეკიდა ჰაჯის, მოეწია, სტაცა ხელი და დასცა ზურგზე. იშიშვლა ხანჯალი და ამართა ხელი კიდეც გასაგმირავად. მაგრამ ამ დროს ახალგაზდა დიდოს გაფითრებულ ტუჩებზე მწარე ღიმილმა გაურბინა. თუშმა შეამჩნია ეს და გაკვირვებული დააცქერდა. ჯერ სულ ახალგაზდა ქვეშ ედო კაცს, ბასრი ხანჯალი მრისხანედ ზედ დასცქეროდა განსაგმირავად და იმას-კი ღიმილი მოსდიოდა. გაუგებარი იყო ეს მოვლენა მისთვის.

— რას იცინი?! მიუბრუნდა განცვიფრებული თუში თავის მსხვერპლს.

— მამის სიტყვები რომ ისე სრულად ამიცხადდა, იმაზე გამეცინა, უპასუხა ჰაჯიმ.

— რა სიტყვები, მითხარი,—უთხრა თუშმა და დაუშო ძირს ამართული ხანჯალი.

ჰაჯიმ უამბო, როგორც იყო და დასძინა:

— როდესაც შენ ამართე ხელი ხანჯლის დასაცემათ, მე თვალი მოვკარ შენ გადაღეღილ ჯაგრიან გულს, მაშინ მივხვდი, წინ წარმომიდგა მამა და მისი სიტყვები!..

ჰაჯის სიტყვებზე თუშს გაეცინა, წამოაყენა ახალგაზდა დიდო და უთხრა:

— ნუ გეშინიან, არ მოგკლავ. მხოლოდ ამას იქით ეცადე არ შეგხვდეს გულჯაგრიანი თუში, ერიდე... ეხლა-კი წადი და უამბე მამაშენს, რაც იხილე და როგორც იყო!..

ივ. ბუქრაული.

[illegible]

## შემოწირულება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ ბაზრობას შესწირეს ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილმა—5 მან., კ. ალიხანოვმა—10 მანეთის ქადა-ნაზუქი.

ქუთაისში ვასილ კონსტანტინეს ძის ცხომელიძის მიერ ნაცნობთა და ამხანაგთა შორის შეკრებილი:

ვასილი ბიშკინაძემ 20 კ., სარდიონ ალექსის ძე რუხაძემ 25 კ., ალექსანდრე ევგენის ძე მიხაილოვმა 1 მან., მელქონ ანტონის ძე კაჩუხოვმა 50 კ., იასონ გიორგის ძე ფურცელაძემ 50 კ., ვასილი ბესარიონის ძე რუხაძემ 1 მან., ლავრენტი გიორგის ძე ბრეგაძემ 1 მან., ნიკოლოზ ნიკიფორეს ძე სალარაძემ 1 მან., ვასილ კოსტანტინეს ძე ცხომელიძემ 1 მან., ნიკიფორე მეთოდის ძე ქათამაძემ 20 კ., გიორგი ცინცაძემ 50 კ., გიორგი გორდაძემ 50 კ., ფრანცისკ გიორგაძემ 50 კ., საველ წერეთელმა 50 კ., ფალაშოვმა პ. 50 კ., ანთიმოზ ტყეშელაშვილმა 40 კ., პეტრე სააკაშვილმა 50 კ., სააკაშვილმა ედუარდმა 50 კ., მიხეილ მარუაშვილმა 20 კ., დავით მეძმარიაშვილმა 20 კ., ზაქარო გაბრიელის ძე ფურცხვანიძემ 1 მან., ვასილ გრიგორის ძე ქაშიბაძემ 40 კ., გიორგი ბარამიძემ 50 კ., ვალიამ 15 კ., № 15 კ, ჯაბუამ 20 კ.

ვ. კ. ცხომელიძემ.

## „ივერიის“ ფოსტა:

**ს. ს—ას, ა. ლ—რს.** თქვენი მოწერილი ამბავი არ დაიბეჭდება.

**გ—რს, შემთხვევითს დამსწრეს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი ამბავი არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 მაისი

**პეტერბურგი.** 28 მაისს პეტერგოფის დიდს სასახლეში საგვარეულო სადილი იყო გამართული მათ უდიდებულესობათა, ბოლგარიის მთავრისა და დიდ მთავართა თანადასწრებით.

**ტუნისი.** ბეი გარდაიცვალა.

**ლონდონი.** Times-ის ცნობით კარგად გათავდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ დრო დაინიშნოს, როცა უნდა დაწყებულ იქმნას მუშაობა კანტონ-ხანკოუს რკინის-გზის გასაყვანად.

**ვენა.** პარლამენტის კრების გათავებისას რადიკალ იალოფაჩის (ჩეხელია) ლაპარაკმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია; დეპუტატმა, გაიხსენა-რა მარიენბურგში იმპერატორის მიერ წარმოთქმული სიტყვა, დაუწყო ავად ხსენება იმპერატორს და ბოლოს შესძახა: „ფუ, ჰოგენცოლერნს!“ პრეზიდენტმა შეაყენა ორატორი, ჩამოართვა უფლება ლაპარაკისა და, რაკი ხმაურობა აღარ დაწყნარდა, შესწყვიტა კრება.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. დეკლარაცია ამბობს: „მთავრობა ყოველის ღონისძიებით ეცდება მომჭირნეობა გასწიოს და იზრუნებს, რომ კარგს მდგომარეობაში იყოს საქმე საეროვნო კრედიტისა. ყოველ გადასახადის მაგიერ უნდა შემოღებულ იქმნას ერთად-ერთი საყოველთაო შემოსავლის კვალობაზედ გაწერილი ხარჯი, რომელიც უნდა შეეფერებოდეს თითოეულის შეძლებას და ქონებრივს მდგომარეობას. მთავრობა წარუდგენს სენატს პროექტს ორის წლის სამხედრო ბეგრისას და სამხედრო პასუხის-მგებლობის დაწესებისას ეხლანდელ კანონ-მდებლობის მიხედვით; მთავრობავე შეუდგება იმის გამოკვლევასაც, თუ რა გზით უნდა იქმნას გამოსყიდული ხაზინის მიერ რკინის გზები და როგორ მოხერხდეს დაზღვევა მუშა ხალხისა მოხუცებაში“.

**ახალი მარგელანი.** მთელს ფერგანში საოცარი უხვი მოსავალია. ნათესობა სამჯერ მეტია ჩვეულებრივზედ. გამოსავალი მოსალოდნელია—ანეულისა ერთი ჩვიდმეტად, ახალთესლებისა—ერთი ოცდახუთად. მომკალთა სიმცირე საგრძნობელია. ბამბა ერთის მესამედით ნაკლები დაითესა.

**პეტერბურგი.** ბოლგარიის მთავარი ნავთსადგურიდგან გაემართა პეტრე-პავლეს ტაძარში, საცა ინახულა საფლავნი იმპერატორთა ალექსანდრე II-ისა და ალექსანდრე III-ისა. იმპერატორის ალექსანდრე II-ის საფლავი შეამკო ვერცხლის გვირგვინით. გვირგვინს ჰქონდა ზედ-წარწერა მადლობისა მეფე-განმათავისუფლებლის მიმართ. მეორე გვირგვინით შეამკო საფლავი ალექსანდრე მე-III-ისა, ხოლო მესამით საფლავი მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძისა. მთავარმა პატივი სცა დიდის მთავრის უფროსის ნიკოლოზ ნიკოლოოზის-ძის ნეშტს. პეტრე-პავლეს ტაძრის ნახვის შემდეგ, მთავარი სადარბაზოდ იყო საიმპერატორო გვარეულობის წარმომადგენლებთან, დიდ სახელმწიფოთა ელჩებთან და მიტროპოლიტ ანტონთან; შემდეგ მივიდა ბოლგარიის სადიპლომატო სააგენტოში, საცა გამართული იყო სადღესასწაულო საუზმე, რომელსაც დაესწრნენ მინისტრები. მთავარმა წარმოსთქვა სადღეგრძელო დიდის მთავრინა ტატიანა ნიკოლოოზის ასულისა მის დაბადების დღის გამო; გრაფმა იგნატიევმა ადღეგრძელა მთავარი. საუზმის შემდეგ მაღალ-ხარისხოვანი სტუმარი გაემართა ერმიტაჟში, საცა შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა წარმომადგენელნი ქალაქისა. ქალაქის მოურავმა სიტყვით მიჰმართა და მიართვა მშვენიერი ვერცხლის ჯამი. მთავარმა მადლობა გადუხადა და უთხრა: „მეტის-მეტად სასიამოვნოა ჩემთვის ნახვა პეტერბურგის ქალაქის წარმომადგენელთა სწორედ წელს, როცა შესრულდა მეოთხედი საუკუნისა მას შემდეგ, რაც ჩვენნი ძმანი რუსნი, გამწირველნი თავთა თვისთა, იბრძოდნენ ბოლგარიის მართლ-მადიდებელ ერის თავისუფლებისათვის, რომელიც ამისათვის საუკუნოდ მადლობელი იქმნება მისი“. შემდეგ მთავარი გაემართა პეტერგოფს, საცა დიდს სასახლეში გამართულ იყო სადღესასწაულო სადილი.

**ლონდონი.** პოლკოვნიკი ლინჩი, წევრი პარლამენტისა, რომელიც იბრძოდა ბურთა შორის, დაპატიმრებულ იქმნა დღეს, როცა გემი მივიდა ნიუჰევენს.

**ვენა.** პარლამენტის კრებაზედ პრეზიდენტმა მწუხარება გამოსთქვა გუშინდელი ინციდენტების შესახებ. მინისტრ-პრეზიდენტმა კერბერმა გადაჭრით დაჰგმო მასხარად აგდება უცხო სახელმწიფოს თავისა (ტაში-კვრაა, მხოლოდ რადიკალმა ჩეხებმა ასტეხეს ალიაქოთი).

**ხარკოვი.** ჩუგუევის ბანაკში ცეცხლი გაუჩნდა ცეიხჰაუზს სევსკის პოლკისას. დაიწვა შენობა, რომელშიაც იყო პოლკის ნივთები, აგრეთვე შენობა პატრონებით სავსე. პატრონები სკდებოდა და უშლიდა ცეცხლის ქრობას. კაცთაგან არავინ დაზარალებულა.

**პარიჟი.** „Figaro“-ში ნათქვამია ელზას-ლოთრენში დიქტატურის მუხლის გაუქმების შესახებ, რომ საფრანგეთისათვის შეუძლებელია უარ-ჰყოს სამკვიდრებელი თვისთა მოგონებათა, გარნა კეთილი ურთიერთობა, დამყარებული საფრანგეთისა და გერმანიის შორის, მისთვის კვლავაც საკმაო გამომხატველი იქნება იმისი, რასაც თხოულობს ჭეშმარიტი პოლიტიკა იმათგან, ვინც საყოველთაო მშვიდობისა და საკუთარის ინტერესების დაცვისათვის უნდა ჰზრუნავდნენ.

**პეტერბურგის ბირჟა**, 28 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,15 |
| ბერლინში 100 მარკაში | 46,02 1/2 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | 4 1/2—6 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96 3/4 მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 98 3/4 მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 475 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 362 3/4 გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 292 გაყ. |
| 4 1/2% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | 88 3/8 გაყ. |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 89 3/4 გაყ. |
| 4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, | 523 გაყ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა | 4530 ,, |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 440 წვ. გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 182 1/2 წვ. გაყ. |

## ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

| | მოდის ტფილ. | გადის ტფილ. |
|---|---|---|
| **ბაქო.** | | |
| სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) | 3 ს. 43 წ. დღ. | 11 ს. 49 წ. დილ. |
| ფოსტის „ (ყოვ.-დღე) | 1 ს. 54 წ. დღ. | 1 ს. 34 წ. დღ. |
| სამგზავ. „ „ | 8 ს. 37 წ. დილ. | 8 ს. 22 წ. საღ. |
| **ბათუმი.** | | |
| სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) | 10 ს. 2 წ. დილ. | 7 ს. 43 წ. დილ. |
| ფოსტის „ „ | 12 ს. 32 წ. დღ. | 6 ს. 7 წ. საღ. |
| სამგზავ. „ „ | 7 ს. 37 წ. საღ. | 9 ს. 27 წ. დილ. |
| **ყარსი და ალექსან.** | | |
| ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) | 7 ს. 18 წ. დილ. | 9 ს. 28 წ. საღ. |
| ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან) | 4 ს. 35 წ. დღ. | 3 ს. 13 წ. დღ. |
| **ბორჯომი.** | | |
| სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე) | 6 ს. 57 წ. დილ. | 6 ს. 22 წ. დილ. |
| სამგზავრო „ „ | 9 ს. 53 წ. საღ. | 2 ს. 28 წ. დღ. |


# განცხადება

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება

## სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიძი.



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

## „ოდონრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—11)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К-о**

„Парфюмерія Нильская Лилія“

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობის

## „შხტას“

გამგეობა იწვევს პაის პატრონთ პირველ წლიურ საზოგადო კრების განსაგრძობად, რომელიც მოხდება კვირას, 2 ივნისს, დილის 10 საათზედ, გურგენოვის ბაღში, მიხეილის პროსპექტზედ, № 143.

განსახილველად შემდეგი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მიერ უკვე წაკითხულ მოხსენებათა და წლიურ ანგარიშისა.

2) მოქმედების გეგმა 1902 წლისათვის;

3) გამგეობის მეხუთე წევრის ამორჩევის საქმე და

4) სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და ორის მათის კანდიდატის ამორჩევა.

(1—352—1)

## О грузинскомъ и русскомъ АЛФАВИТАХЪ,

წერილი იაკობ გოგებაშვილისა, დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად და ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და სხვაგანაც; ქუთაისში ბეჟანეიშვილთან. გაიგზავნა აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებსა და დაბებშიც. ფასი ყველგან ერთი აბაზი.

(3—3)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

## ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა ფასი 10 კ.

და

## მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

**წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა | „ 30 |
| საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ | „ 60 |
| სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა | 1 მ. „ |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. | „ 30 |
| ყოველის მხრიდგან. არბოელისა. | „ 10 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | „ 50 |
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | ,, 15 |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | ,, 15 |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | ,, 5 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | ,, 30 |
| აბო ტფილელი, ე. კ. | ,, 30 |
| Або Тифлисскій, Е. К. | ,, 5 |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | ,, 60 |
| გიორგი და მიხეილი | ,, 10 |
| რ. აბაშიძისა | ,, 60 |
| დ. გაბრუაშვილისა | ,, 25 |
| მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა | ,, 40 |
| მუშათა კითხვა | 15 ,, |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყოჩიშვილისა | 1 ,, |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. | ,, 40 |
| Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ | ,, 20 |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა | ,, 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | ,, 30 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძისა | 1 ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა. | |
| Царица Тамара, М. Джанашвили | ,, 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა | ,, 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა | 1 ,, |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | ,, 50 |
| დედა, ანდერსენისა | ,, 8 |
| დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 ,, მ. |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | ,, 20 |
| Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К. | ,, 10 |
| Давидъ Гареджели, Е. К. | ,, 15 |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა | ,, 15 |
| ელენე, მოთხრობა | ,, 5 |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуфашвили | ,, 40 |
| Назрѣвшій Европовъ, К. | ,, 20 |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა | ,, 5 |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ. | ,, 3 |
| ამბავი მეფის ქვისა | ,, 5 |
| აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | ,, 15 |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. ,, 50 |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი | ,, 40 |
| ბესია. | ,, 10 |
| ბუნების სიოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა | ,, 15 |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა. | ,, 30 |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ. | ,, 30 |
| გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ. | ,, 20 |
| აღმზრდელი, აკაკისა | ,, 5 |
| გასართობი | ,, 10 |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა | ,, 15 |
| გუსტავ ვაზა | ,, 5 |
| პატარა ლორდის თავგადასავალი | ,, 30 |
| პატრა ვეფხვის ტყაოსანი. | ,, 25 |
| რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | ,, 40 |
| სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა | 1 ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. | ,, 60 |
| აერო დღესასწაული | ,, 25 |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. | 3 ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К | ,, 30 |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძისა | ,, 40 |
| თამარ-დედოფლის სამკაული | ,, 10 |
| თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა | ,, 50 |
| ისტორია ქართულ სტამბების. | ,, 15 |
| იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა. | ,, 40 |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა | ,, 60 |
| სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი | 1 ,, |
| სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ—სა | ,, 30 |
| საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა. | ,, 50 |
| სუმბული, ს. ქვარიანისა. | ,, 20 |
| ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჩაბარიანისა | ,, 50 |
| უკვდავთა ლადლებანი, მ. ჯანაშვილისა | ,, 15 |
| მეცნიერებისთვის წამებულნი | 1 ,, |
| Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева | 1 50 |
| ხელთ და პატრაში, თრ. ალ. წერეთლისა | ,, 10 |
| ნათელა, აკაკისა | ,, 20 |
| ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა | ,, 20 |
| ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი | ,, 40 |
| Новая постановка педагогическаго дѣла | ,, 20 |
| სამი ბოემა, ან. ფურცელაძისა. | ,, 50 |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა. | ,, 5 |
| საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა | ,, 10 |
| სახუმარო გასართობი | ,, 10 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა | ,, 50 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა | ,, 20 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | ,, 40 |
| ქეთო და სოფო, საუმაწვილო მოთხრობა | ,, 5 |
| ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა | ,, 25 |
| კოპერნიკიდან დარვინამდე | ,, 10 |
| კანდელი, მ. ღლაშვილისა | ,, 15 |
| Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. | 1 р. 50 к. |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели | 30 ,, |
| კუბიკები ქართულის ანბანისა | 1 მ. 20 |
| ლექსები განდეგილისა | ,, 50 |
| ევდოშვილისა | ,, 50 |

# ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **მედალისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

## სტამბა და სახაზავი,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურს ენაზედ

## ☛ კოხტად, სწრაფად და იაფად ☚

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, „ვერეიჩევისა და კამენმახერის“ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852.

(25—309—21)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 мая 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.